მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო

საქართველო **(LDA Georgia)**

2021 წელი

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ,,გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის'' მხარდაჭერით

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგოხია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის ,,თანხმობა'' იურისტი (IDP Women Association ''Consent'').

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 4

1.1 კვლევის საფუძველი 4

1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა 4

1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების შეგროვება 5

2. შესავალი 6

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები.....7

3.1. ეკონომიკური განვითარება.....7-9

3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....9-10

3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....10-12

3.4. განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა 12-14

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები.....14-15

4. რეკომენდაციები.....16

5. საბიუჯეტო პროგრამა.....17-18

6. დანართი.....19

სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი.....19-20

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტში , 2021 წლის აპრილის თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა , რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთის მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალით დანახული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფებზე მიღებული ინფორმაციიდან.

1.2 კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის 2021 წ საბიუჯეტო პროგრამები, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა და 2021-2023 პრიორიტეტების დოკუმენტი.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- **ადგილობრივი თვითმმართველობის** : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის რესურს ცენტრის წარმომადგენელი;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი;
- ექიმი;
- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით; (მრავალშვილიანი , სოციალურად დაუცველი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე);
- ადგილობრივი ბიზნეს სუბიექტი.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო ცამეტმა (13) რესპოდენტმა, რომელთა შორის ათი (10) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 25 წლიდან 60 წლამდე მერყეობდა.
ფოკუს ჯგუფების მონაწილეობა ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართულობას და განსხვავებული სქესის წარმომადგენლის მონაწილეობას.

1.3ჯგუფური დიკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეპუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა;
- ძირითადი სერვისები და პროგრამები ბაღდათის მუნიციპალიტეტში;
- კოვიდით გამოწვეული ახალი საჭიროებები.

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2. შესავალი (ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/ დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას , მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკითხები, როგორიცაა : სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები , განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები, სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, ინფორმირებულობა, Covid -19-ით გამოწვეული ახალი საჭიროებები.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, დროში გადაიწია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ, ტურიზმის სფეროს შეფერხებამ, უარყოფითი ზეგავლენა იქონია ადგილობრივი მაცხოვრებლების შემოსავლებზე, გაიზარდა უმუშევრობა და მოწყვლადი ოჯახების მდგომარეობა უფრო დამძიმდა.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მაცხოვრებლებს. აწვდიდა სასურსათო კალათებს, ახდენდა მოსახლეობის ინფორმირებულობას როგორც კოვიდ -19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე სხვადასხვა რეგულაციისა და შეზღუდვის შესახებ.

ხაზგასასმელია მუნიციპალიტეტის კონსტრუქციული თანამშრომლობა სხვადასხვა ადგილობრივ არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდა ჩართულობის მექანიზმების ახალი ფორმების დანერგვის ხელშეწყობა, საპილოტე პროგრამების განხორციელება მოწყვლადი ოჯახების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სხვა. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა შეძლოს დაწყებული პროგრამების საკუთარი რესურსით გაგრძელება.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, ჯერ კვლავ რჩება გამოწვევები სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კეთილსაიმედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული , გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გააძლიერებს და თვითკმარს გახდის.

მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუისებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საჭიროებებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

3.განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1 ეკონომიკური განვითარება: ბაღდათის მუნიციპალიტეტმა 2018 წელს შეიმუშავა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის'' ფარგლებში და მიზნად დაისახა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში. თუმცა 2020 წელს პანდემიამ გარკვეულწილად შეაფერხა აღნიშნული პროცესი.

დღეისათვის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით.

სოფლის მეურნეობა : მუნიციპალიტეტში მოსახლეობა ძირითადად მისდევს მევენახეობა/მეღვინეობას. ვითარდება სასათბურე მეურნეობები, სადაც მოჰყავთ მწვანილი და ბოსტნეული. მოსახლეობის მცირე ნაწილი დაკავებულია მიწათმოქმედებით. მუნიციპალიტეტში მოქმედებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობა, თუმცა სრულყოფილად ვერ ხერხდება სამინისტროს ხელშეწყობით განსახორციელებელ ეკონომიკური განვითარების პროექტებზე მოსახლეობის ინფორმირება და დაინტერესება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი მცირემიწიანია და ამავდროულად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები დაბალ მოსავლიანია ზოგიერთი კულტურისთვის. აგრო სექტორის სწორად განვითარებისა და მიწების რაციონალურად გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, თუმცა მსგავსი ღონისძიებისთვის ფინანსური სახსრები ჯერჯერობით ვერ იქნა მოძიებული. ბოლო წლებში აგრარული ბიზნესის განვითარების პარალელურად გაიზარდა მოთხოვნა მიწებზე, რის გამოც მოსახლეობა აქტიურად ცდილობს მიწების დარეგისტრირებას.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში კლიმატური პირობებიდან გამომდინარე განვითარებულია მეფუტკრეობა. აქტიურად ხდება თაფლის წარმოება, თუმცა მეფუტკრეებისთვის გამოწვევაა თაფლის ბითუმად რეალიზაცია, რადგან მათ ხშირ შემთხვევაში არ აქვთ თაფლის ხარისხის განმსაზღვრელი სერთიფიკატი. სერთიფიცირებასთან დაკავშირებული ანალიზების სრულყოფილად გავლა საქართველოში არ არის შესაძლებელი, საზღვარგარეთ კი მათი ფასი მაღალია და მეფუტკრეებისთვის ხელმიუწვდომელი. გამოწვევას წარმოადგენს ასევე თაფლის ფალსიფიკაცია, რაც იწვევს უნდობლობას მომხმარებელში და ფასის დაგდებას.[1] ბოლო წლებში შესამჩნევი გახდა ფუტკრის რაოდენობის შემცირება, რაც სხვადასხვა დაავადებების შედეგია, თუმცა როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს ადგილზე კვალიფიციური ვეტერინარების არ არსებობა ხელს უშლის დაავადებებთან დროულ და ეფექტურ ბრძოლას.

ადგილზე არსებობს საოჯახო ღვინის მარნები, რომლებიც ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩამოყალიბებულია რამდენიმე კოოპერატივი, თუმცა ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა თქმით სასურველია ამ კუთხით მოხდეს მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება,(მოსახლეობამ არ იცის როგორ დაარეგისტრიროს კოოპერატივი, რა პირობებია მნიშვნელოვანი კოოპერატივების

[1] LEPD ბაღდათის ადგილობრივი ეკ. განვითარების გეგმა. გვ 13.

დარეგისტრირებისას და სხვა) ასევე უფრო მეტად მოხდეს კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მისდევს მეცხოველეობას და მეფრინველეობას, თუმცა მათ მიერ წარმოებული პროდუქცია არ არის საკმარისი თუნდაც ტურისტული ობიექტების უწყვეტი მომარაგებისთვის, რის გამოც ხდება სხვადასხვა პროდუქტის იმპორტი.

სოფლის მეურნეობის დარგში წარმოების ზრდას აფერხებს სასოფლო-სამეურნეო სერვისებზე და აგრო ტექნიკაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, ასევე დარგის სპეციალისტების (აგრონომების, ვეტერინარების) სიმცირე.

ბოლო წლებში დაიწყო ისეთი კულტურების გაშენება, როგორიცაა მაყვალი, მარწყვი, ჟოლო. აღნიშნული კულტურების მოყვანა სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავლის'' ფარგლებში ხდება.

გარდა დანერგე მომავლისა, მოსახლეობას ასევე შეუძლია ისარგებლოს ეკონომიკური განვითარების ისეთი სახელმწიფო პროგრამებით, როგორიცაა აწარმოე საქართველოში. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნული პროგრამების დახმარებით დაიწყო და განავითარა საკუთარი ბიზნეს საქმიანობა. აქვე აღინიშნა, რომ სასურველია პროექტის განმხორციელებლებისგან უფრო აქტიურად მოხდეს უკუკავშირის გაზიარება იმ ბენეფიციარებისთვის, ვინც ეკონომიკური განვითარების პროგრამაში მონაწილეობდა, მაგრამ დაფინანსება ვერ მოიპოვა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ახსენეს ფერმერ ქალთა ასოციაციის საგრანტო პროგრამები, რომელიც ძირითადად ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას უწყობს ხელს.

დისკუსიების მსვლელობისა, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების პროგრამების შესახებ ინფორმაცია მოსახლეობაში ნაკლებად ვრცელდება. გამოწვევად დასახელდა თავად მოსახლეობაში სამეწარმეო უნარების ნაკლებობაც. გამოიკვეთა ფერმერებში კომპიუტერული უნარების შესწავლის აუცილებლობა და ინტერნეტ სერვისებთან წვდომის გაუმჯობესება.

საწარმოები და ადგილობრივი ბიზნესი : როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, მუნიციპალიტეტი მუდმივად ცდილობს ინვესტორების მოზიდვას. შედეგად ბოლო პერიოდში განვითარდა ტურისტული მიმართულება და მცირე მეწარმეობა. თავად მუნიციპალიტეტი ცდილობს ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია მის ტერიტორიაზე არსებული მეწარმეების შესახებ და აწარმოოს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები. ადგილობრივ მეწარმეებს შორის თანამშრომლობა ნაკლებად მიმდინარეობს.

ბაღდათში თაფლის და რძის პროდუქტების, ღვინის წარმოება ხდება. არსებობს რამდენიმე მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმა, ასევე საკალმახე. აღნიშნული პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ადგილობრივ ბაზარში ხდება.

ქალაქ ბაღდათში წარმოდგენილია ორი სამკერვალო მცირე ბიზნეს სუბიექტის სახით. ერთ-ერთი სამკერვალო ინდივიდუალურ ტყავის ჩანთებს და აქსესუარებს კერავს, რომლის რეალიზაციას ონლაინ, თბილისსა და სხვა ქალაქებში ახდენს.

მუნიციპალიტეტში ხდება მინერალური წყალი „საირმე“-ს ჩამოსხმა, რომელიც ძირითადად ექსპორტზე გადის. ექსპორტზე გადის ასევე ადგილზე წარმოებული მოცვი. თუმცა აქვე გამოწვევაა შესაბამისი სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების არ არსებობა.[2]

ტურიზმი და რეკრეაცია: ბაღდათის მუნიციპალიტეტი ტურიზმის განვითარების მაღალი პოტენციალით გამოირჩევა. ნელ-ნელა ვითარდება სამთო ტურიზმი. ტურისტული ობიექტები (საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, სასტუმრო კომპლექტები და სხვა) ადგილობრივი მოსახლეობისთვის დასაქმების და შემოსავლის მიღების მნიშვნელოვანი წყაროა. მუნიციპალიტეტში შენდება „ბიზნეს განვითარებისა და ტურიზმის მომსახურეობის ცენტრი” , სადაც ბიზნესისა და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღება ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე, ასევე საოფისე ფართების ქირავნობა და ერთმანეთთან კომუნიკაცია.

ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას აღინიშნა, რომ ადგილზე შესამჩნევია კვალიფიციური გიდების ნაკლებობა. გამოითქვა გულისწუხილი, რომ ტურიზმის სფეროში დაქირავებული მუშახელის ანაზღაურება საკმაოდ დაბალია, რის გამოც ვერ ხერხდება ადგილობრივების დაინტერესება.

მიუხედავად იმისა, რომ წესრიგდება ტურისტული ინფრასტრუქტურა (მოეწყო საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები) არსებული არ არის საკმარისი. ნაკლებადაა წარმოდგენილი ტურისტებისთვის მიმზიდველი რეკრეაციული და მოსასვენებელი, გასართობ - გამაჯანსაღებელი ადგილები, არსებულიც საჭიროებს კეთილმოწყობას. არ არის საზოგადოებრივი საპირფარეშოები(სველი წერტილები).[3]

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი: ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით ბაღდათში სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა. შესამჩნევია სოციალური მოწყვლადობის მზარდი მაჩვენებელი. *,,არიან ადამიანები, რომელთაც არც წამალზე მიუწვდებათ ხელი და ვერც სათანადოდ საკვებს ყიდულობენ ”* აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი სასურსათო კალათებით უზრუნველყოფდა 70 + ხანდაზმულებს, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა მშობლებს. ასევე, მერიას გააჩნია კვებით უზრუნველყოფის პროგრამა მოწყვლადი პირებისთვის, ისევე როგორც არსებობს სახელმწიფო პროგრამა გარკვეული კატეგორიის ოჯახების დასახმარებლად (ბავშვთა კვებით უზრუნველყოფა).

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უმეტესობა სოფლად მაცხოვრებელია, რომელთა არც თუ ისე მცირე ნაწილი შუახნის ასაკს გადაცილებულია. დემოგრაფიული პროცესების გასაუმჯობესებლად, მერიის სოციალურ სამსახურს შემუშავებული აქვს ახალშობილთა ოჯახებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მხრიდან აღინიშნა, რომ ბაღდათში მნიშვნელოვანი გამოწვევაა ოჯახში ძალადობა. *„მოსახლეობა არ აღიქვამს ოჯახში ძალადობას როგორც პრობლემას, და შესაბამისად*

[2] LEDP ბაღდათის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა . გვ 14.

[3] LEPD ბაღდათის ადგილობრივი ეკ. განვითარების გეგმა. გვ 12

მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობა ამ მხრივ საკმაოდ დაბალია" , აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ.

მონაწილეების მხრიდან ერთ-ერთ გამოწვევად დასახელდა სოციალურად დაუცველ ოჯახებში კარგი მშობლობისა და ბიუჯეტის მართვის უნარების არ ქონა. *„ აუცილებლია მოხდეს მშობლების ცნობიერების ამაღლება კარგი მშობლობის საკითხებზე. ზოგიერთ მათგანს შეუძლია სახელმწიფოსგან მიღებული დახმარება ერთ დღეში დახარჯოს საკუთარი სურვილებისთვის და უგულებელყოს ბავშვის ინტერესები, ბევრმა ისიც კი არ იცის როგორ უნდა გადაანაწილოს მიღებული დახმარება, სწორედ ამის შედეგია ის რაც რამდენიმე თვის წინ მოხდა ბაღდათში, როცა ბავშვები დაიწვნენ"* განაცხადა ერთერთმა მონაწილემ, რომელსაც სხვა მონაწილეებიც დაეთანხმნენ.

შრომის ბაზარი, უმუშევრობა და მიგრაცია: როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს მუნიციპალიტეტში დასაქმების ნაკლები შესაძლებლობაა, რაც ხელს უწყობს მიგრაციას. ძირითადად მუნიციპალიტეტს ახალგაზრდები ტოვებენ, რომლებიც სხვა დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ მიემგზავრებიან, რაც სოფლების დაცლას უწყობს ხელს. *" მუნიციპალიტეტი ახალგაზრდებს , რომლებიც სწავლას ასრულებენ, უკან დაბრუნებულზე ვერაფერს ვერ სთავაზობს"* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ. მონაწილეებმა ისაუბრეს დასაქმების სფეროში ნეპოტიზმზეც. *„აქ თუ ნაცნობი არ გყავს და ვიღაცის რაღაცა არ ხარ სამუშაოს ვერ იშოვი"* აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას.

3.3 ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და უსაფრთხო გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს და აღნიშნული პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება ადგილობრივ ბიუჯეტთან ერთად, სახელმწიფო და საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული დაფინანსებით. დღეისათვის არსებული ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, ძირითადად სკოლები, საბავშვო ბაღები იქნა ამ კუთხით რეაბილიტირებული. საავადმყოფოს, ბანკებს და აფთიაქებს პანდუსები გააჩნიათ, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ისინი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს.

სოფლებში გზების რეაბილიტაცია დასრულებული არ არის. მოწესრიგებულია ცენტრალური ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. მოსაწესრიგებელია გარკვეულ სოფლებამდე მისასვლელი, ასევე შიდა სასოფლო გზები. მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს გაზიფიცირების პროცესი. მოქალაქეებს შეუძლიათ განვადებით შეიყვანონ ბუნებრივი აირი. მოწესრიგებულია ელექტროენერგიის მიწოდება. ქ. ბაღდათში გარე განათება მოწესრიგებულია, თუმცა რესპოდენტების აზრით აღნიშნული პროცესი დროულ დასრულებას საჭიროებს სოფლებშიც.

მუნიციპალიტეტისთვის პრობლემას წარმოადგენს ცენტრალური კანალიზაციის სისტემის არ არსებობა. სოფლებში მოსახლეობა ძირითადად ე.წ ორმულ სისტემას იყენებს.

კანალიზაციის მსგავსად პრობლემას წარმოადგენს სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა. განსაკუთრებით სოფლებში, სადაც მოსახლეობა ჭის წყალზეა დამოკიდებული, რომლის რესურსიც გვალვის პერიოდში საგრძნობლად მცირდება. მოსახლეობა ძირითადად ჭებს იყენებს, სადაც წყალი ზაფხულში შრება.

ქალაქში მოსახლეობა არ არის კმაყოფილი სასმელი წყალის ხარისხით და მიაჩნია, რომ ის დაბინძურებულია. გარკვეულ სოფლებში მოწესრიგებას საჭიროებს საირიგაციო/სარწყავი სისტემა.

ნაგვის ურნები განთავსებულია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში, თუმცა საჭიროა ახალი ურნების დამატება, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, როცა ტურისტების ნაკადი მატულობს. რეგულარულად ხდება ნარჩენების გატანა. სამწუხაროდ ჯერჯერობით არ ხდება ნაგვის დახარისხება და მოსახლეობის ცნობიერებაც ამ კუთხით დაბალია. დასუფთავების მოსაკრებელი სოფლის მოსახლეობისთვის ჯერ არ არის შემოღებული, თუმცა მუნიციპალიტეტი ფიქრობს აღნიშნულ საკითხზე. მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიურ საკითხებზე, რადგან სოფლებში ხშირად ხდება ხევების დაბინძურება, პოლიეთილენის პარკებისა და ბოთლების გადაყრა ან დაწვა.

უმეტეს სოფლებში მწირია ხელმისაწვდომობა აფთიაქზე, სასურსათო მაღაზიებზე, რის გამოც მოქალაქეებს ადმინისტრაციულ ცენტრში ან ქუთაისში უწევთ მგზავრობა. სოფლებში საბანკო მომსახურეობა ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. ნოტარიუსი ძირითადად მუნიციპალურ ცენტრშია ხელმისაწვდომი. მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდა უფასო სამართლებრივი საკონსულტაციო მომსახურეობა ადგილზე.

მწვავედ დგას მიუსაფარი ძაღლების საკითხი, რომელთა რიცხვი ყოველდღიურად მზარდია. არ არსებობს მუნიციპალური თავშესაფარი ცხოველებისთვის.

მუნიციპალიტეტში წესრიგდება სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურა. ხდება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, თუმცა მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებების გარეთა სივრცეები და მოედნები ასევე იყოს კეთილმოწყობილი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: მუნიციპალიტეტში მოსახლეობა კერძო მიკროავტობუსებით გადაადგილდება, რომელიც არ არის ყველა სოფლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი. რთულია შიდა სასოფლო გადაადგილებაც. *„მაგ . სოფელ დიდველადან რთულია ბაღდათამდე ჩამოსვლა. „ხშირად სამი კილომეტრის გავლა მიწევს ფეხით“* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ. ტრანსპორტი არ არის მორგებული შშმ პირების საჭიროებებს.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: დაფარვის კუთხით , ადგილზე ინტერნეტის ხელმისაწვდომობა თითქმის უზრუნველყოფილია. თუმცა, ყველა ოჯახს არ აქვს ინტერნეტის ყოველთვიური გადასახადის გადახდის შესაძლებლობა. მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია ტელევიზია. არსებობს ადგილობრივი გაზეთი. მერიის სიახლეების შესახებ ინფორმაცია გაზეთით, მერიის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელის დახმარებით ვრცელდება.

3.4 განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა: სკოლამდელი და სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე შშმ ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობა როგორც ბაღებში, ასევე სკოლებში. *„ზოგჯერ მშობლებს უჭირთ აღიარონ, რომ მათ შვილს სპეციალური საჭიროება გააჩნია, ამიტომ ისინი თავს არიდებენ შესაბამისი რეკომენდაციების დაცვას , რის გამოც ბავშვები ზარალდებიან. ვფიქრობთ აუცილებელია მსგავს მშობლებთან მუშაობა, რათა მათ დროულად შეძლონ გააცნობიერონ, რომ ბავშვს დახმარება სჭირდება, რომ ეს არ არის სასირცხვილო“,* აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა.

პანდემიის შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა ნაკლები ხელმისაწვდომობა ინტერნეტთან მრავალშვილიან და სოციალურად მოწყვლად ოჯახებში. სკოლის მასწავლებლები მოსწავლეებთან დაკავშირებას და სასწავლო პროცესში ჩართვას სატელეფონო ზარის გამოყენებით ცდილობდნენ. მოგვიანებით მდგომარეობა უფრო გამოსწორდა, თუმცა კვლავ რჩებიან ბავშვები, განსაკუთრებით მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც ონლაინ სწავლებაზე წვდომა უჭირთ. ცალკე გაესვა ხაზი სპეც მასწავლებლების კვალიფიკაციის საკითხს. *„წელს პირველად ტარდება სპეც მასწავლებლების გამოცდები და დიდი იმედი გვაქვს, რომ პედაგოგები შეძლებენ აღნიშნული გამოცდების ჩაბარებას, რის შემდეგაც უფრო მაღალკვალიფიციური კადრები გვეყოლება“,* განაცხადა ერთერთმა რესპოდენტმა.

ადგილზე EDEC ის მიერ ხორციელდება დასაქმებისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის პროგრამა, ასევე საზოგადოებრივი კოლეჯ იბერიას ფილიალი ფუნქციონირებს სადაც სხვადასხვა მიმართულებით პროფესიული კურსების გავლაა შესაძლებელი, თუმცა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია პროფესიულ სასწავლებელში ხელმისაწვდომი გახდეს სოფლის მეურნეობის პროგრამები, რაც ბაღდათისთვის უფრო საჭიროა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი ცენტრალური და ოთხი (4) სოფლის ბიბლიოთეკა. პანდემიის დროს ბიბლიოთეკებთან წვდომა შეზღუდული იყო, არც ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისი დანერგილა. *„ძალიან მინდოდა შეზღუდვების დროს მესარგებლა ბიბლიოთეკის მომსახურეობით, ჩემი შვილისთვის, რომელსაც გარდატეხის ასაკი აქვს და მიჭირდა სახლში დაკავება, გამომეტანა რამე საინტერესო წიგნი, თუმცა ამის შესაძლებლობა არ იყო“* ,აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ. ადგილზე, მერიის დაფინანსებით არსებობს სამხატვრო სკოლა, მუსიკალური სასწავლებელი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, სპორტ სკოლები, სადაც მოზარდებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეებში, თუმცა ისინი ნაკლებადაა ხელმისაწვდომი ადმინისტრაციული ცენტრიდან მოშორებით მდებარე სოფლებში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდებისთვის. ასეთ სოფლებში ადგილებზე ნაკლებადაა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კადრი მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული წრეების განსახორციელებლად. *„ჩემი ძმისშვილი დაგვყავდა ერთ-ერთ სპორტულ წრეზე ბაღდათში, თუმცა ძვირი გვიჯდებოდა გზა და ამიტომ გამოვიყვანეთ“* ,აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საჭადრაკო სკოლა. იმერეთის განვითარების ცენტრის დახმარებით გაიხსნა „სკაი კლუბი“, ასევე ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცე ,,GAME ზონა“.

მუნიციპალიტეტში რეკრეაციული ზონები ნაკლებადაა წარმოდგენილი. სოფლებში სპორტული მოედნები არის, მაგრამ ხშირად მოუწესრიგებელი. *“კარგი იქნება თუ გარეთა ტრენაჟორების დამონტაჟება მოხდება, რაც მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს”,* აღნიშნა მონაწილემ.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ბაღდათში მრავლადაა თუმცა, მათი ნაწილი საჭიროებს შესაბამის კეთილმოწყობას. ადგილზე წარმოდგენილია რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ცეკვისა და სიმღერის

ანსამბლები. თუმცა, ინფრასტრუქტურა აქაც განსაახლებელია. ადგილზე არის მაიაკოვსკის სახელობისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

სპორტული აქტივობები ფინანსდება მერიის ბიუჯეტიდან, წახალისებულია შშმ პირთა ჩართულობა სპორტულ აქტივობებში, კერძოდ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს იმ შშმ პირების ტრანსპორტირებას კვირაში ორჯერ, რომლებიც სპორტულ აქტივობებში არიან ჩართული.

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები : მუნიციპალიტეტში მონაწილეთა ჩართულობის, კანონში გაწერილი ფორმები დანერგილია, თუმცა მოქალაქეები ნიჰილისტურად არიან განწყობილი და აქტიურობით არ გამოირჩევიან. ძირითადად სოფლის განვითარების პროგრამის დროს სოფლის კრებებში მონაწილეობენ. მოქალაქეთა ნაკლებ აქტიურობას პრობლემად ვერ აღიქვამდა ფოკუს ჯგუფის რამდენიმე მონაწილე. *„სოფლებში მოქალაქეების გასაჭირი ისედაც იციან სოფლის წარმომადგენლებმა, და თუ რამეა საჭირო მათ მოაქვთ ინფორმაცია მერიაში“* აღნიშნეს მათ. ნაკლებია მოქალაქეების ცნობიერება პეტიციების შესახებ.

მოქალაქეები ნაკლებად იღებენ მონაწილეობას ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, რასაც არასათანადო ინფორმირებულობით ხსნიან. თითქმის არ მონაწილეობენ საკრებულოს სხდომებში, არ აყენებენ წინადადებებს.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) დახმარებით მუნიციპალიტეტში გარკვეული პერიოდის მანძილზე ფუნქციონირებდა ე. წ ,,მოქალაქეთა ფორუმი“, როგორც მოქალაქეთა ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმი. ამ ეტაპისთვის იმავე ორგანიზაციის დახმარებით განხორციელდება საკრებულოს სხდომების “live stream” ტრანსლაციები. აღნიშნულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საკრებულოს სხდომების დღის წესრიგი და ჩატარების თარიღი წინასწარ იყოს ცნობილი მოსახლეობისთვის.

დისკუსიების მიმდინარეობისას მოქალაქეთა ინფორმირებულობის აუცილებლობას გაესვა ხაზი. მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე, ფოკუს ჯგუფების მიმდინარეობისას შეუძლებელი იყო სარგებლობა ისეთი ღილაკებით, როგორიცაა „შექმენი პეტიცია'', ,,შეავსე კითხვარი'', „დაუკავშირდი ხელისუფლებას'', რაც ასევე უშლის ხელს მოქალაქეთა ინფორმირებულობას. *„ჩემი ოჯახის წევრი მუშაობს მერიაში და მისგან ვიგებ გარკვეულ ინფორმაციას. ის რომ არა ალბათ ბევრ რამეზე არც კი მეცოდინებოდა, ინფორმაციული ვაკუუმი დიდია. რამდენიმე დღის წინათ ვესწრებოდი ერთ ონლაინ შეხვედრას სადაც მსგავს საკითხებზე ვსაუბრობდით და იქაც ბაღდათში ინფორმაციის გავრცელება ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა“,* აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ.

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები - ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მოსახლეობისთვის მიწოდება მერიის სოციალური სამსახურისა და სოციალური მომსახურეობის სააგენტოს მიერ ხორციელდება. მუნიციპალიტეტს სოციალური პროგრამების განვითარებაში არასამთავრობო ორგანიზაციები/ფონდები ეხმარებიან, რომელთა შორის აღსანიშნავია ბაღდათის განვითარების ფონდი, იმერეთის განვითარების ცენტრი, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia) და სხვა. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები, სტანდარტულად ფულად გასაცემელს მოიცავს, თუმცა არის მზაობა ნელ-ნელა

გადავიდეს გრძელვადიან, განვითარებაზე ორიენტირებული სერვისების დანერგვაზე და აღნიშნული კუთხით გარკვეული გამოცდილებაც გააჩნია.

მერიის სოციალური სამსახური პროგრამების შემუშავებას შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ახდენს.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: მერიას გააჩნია მედიკამენტებისა და სხვადასხვა სამედიცინო კვლევების, ოპერაციების თანადაფინანსების მექანიზმი, რომლითაც სარგებლობა არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს შეუძლიათ. ბაღდათში ფუნქციონირებს საავადმყოფო, სადაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია. ადგილობრივ საავადმყოფოში არ არის გინეკოლოგიის კაბინეტი, რასაც მოსახლეობა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევს. სოფლებში არსებობს ამბულატორიები, თუმცა ექიმი ყოველდღიურად არ არის ადგილზე ხელმისაწვდომი. როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, პანდემიიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სოფლის ექიმების კომპეტენციები გაიზარდოს და ისინი ადგილზე უფრო მეტად გახდნენ ხელმისაწვდომი. არ არის ხელმისაწვდომი ფსიქოლოგის სერვისი. *„ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ვარ. ჩემს შვილს ძალიან გაუჭირდა ფსიქოლოგიურად იმასთან შეგუება, რომ მამა მოძალადე იყო, რომ მშობლები განქორწინდნენ. გარდატეხის ასაკი აქვს და უფრო ჩაკეტილი გახდა. თანატოლებთან კომუნიკაცია უჭირდა, ძალიან მინდოდა ადგილზე ყოფილიყო შესაძლებლობა რომ თუნდაც ერთი ზარი განმეხორციელებინა ფსიქოლოგთან და მას რამე ერჩია ჩემი შვილისთვის",* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

სოციალური საკითხები და სერვისები: ბაღდათის მერიაში არსებობს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. მერიის თანადაფინანსებით უზრუნველყოფილია 15 წლამდე ასაკის ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის დაფინანსება. მერია ახორციელებს ეტლებისა და სხვა სპეციალური ინვენტარის შესყიდვის თანადაფინანსებას. ადგილზე აუცილებელია სპეციალური მასაჟისტის (შშმ პირებისთვის), ლოგოპედის, ფსიქოლოგის, ქცევითი თერაპევტის მომსახურეობის არსებობა.

მუნიციპალიტეტში არსებობს უფასო სასადილო, რომელიც ყოველდღე, ერთჯერადი აუცილებელი საკვებით უზრუნველყოფს შეჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, თუმცა ბენეფიციარების რაოდენობა შეზღუდულია და დაახლოებით 60 ბენეფიციარის მომსახურეობაა შესაძლებელი. აღნიშნული სასადილოთი ვერ სარგებლობს სოფლის მოსახლეობა, ვინაიდან გადაადგილება ძვირი უჯდებათ. თუ დაბაში მცხოვრები ბენეფიციარი გახდება ავად არც მათთვის არსებობს სადილის სახლში მიწოდების სერვისი. არ არის დანერგილი შინ მოვლის სერვისი, თუმცა საჭიროებას ხედავენ. *,, თუ მოხდება დახმარება , მუნიციპალიტეტი აუცილებლად გამონახავს სახსრებს აღნიშნული სერვისის თანადაფინანსებისა და დანერგვისთვის",* აღნიშნა ფოკუს ჯგუფის ერთერთმა მონაწილემ. მუნიციპალიტეტში არ არის ხანდაზმულთა დღის ცენტრი.

იმერეთის განვითარების ცენტრის მხარდაჭერითა და თანამშრომლობით დაინერგა კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახების გაძლიერების პროგრამა, თუმცა ამ პროგრამაში ჩართვის საჭიროების მქონე ბენეფიციარების რაოდენობა უფრო დიდია. ბაღდათის განვითარების ფონდი ცდილობს იდენტიფიცირებულ სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან, ოჯახებს მარტოხელა მშობლებს შეუძინოს საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

მერიაში ახალი შექმნილია ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილება.

პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან გამომდინარე 2021 წელს მუნიციპალიტეტმა შექმნა სურსათით დახმარების ახალი პროგრამა, რომელიც მოწყვლადი ოჯახებისთვის არის განკუთვნილი. თუმცა, ასევე არიან ოჯახები, რომლებიც არა მარტო სურსათით არამედ ტანსაცმლითა და სხვა აუცილებლი საყოფაცხოვრებო საგნებით დახმარებას საჭიროებენ, რისი შესაძლებლობაც ადგილზე არ არსებობს.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეებისთვის სოციალურად დაუცველობის სტატუსის მინიჭება. რესპოდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებლია შეფასების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება.

4. რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ასევე, არსებული პროგრამების გადახედვა და პირობების გაუმჯობესება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთან ერთად შემუშავდეს და დაინერგოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი ფორმები იმ პროგრამების შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება;
- ხელი შეეწყოს ადგილზე სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის პარკის განახლებას.

აწარმოე საქართველოს

- მნიშვნელოვანია ხელის შეეწყოს მოქალაქეთა უნარების გაძლიერებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბიზნეს განაცხადის წერა;

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის საჭიროებას და ადგენდეს საჭიროებებს;
- ხელი შეუწყოს სოფლის ამბულატორიების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და გახადოს იგი პანდემიიდან გამომდინარე არსებულ საჭიროებებზე მორგებული;

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდების, ქალების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად;
- ხელი შეუწყოს ჩართულობის მექანიზმების გაძლიერებას და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი სერვისების მიწოდებით; პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუთსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი.

5.საბიუჯეტო პროგრამა ბაღდათის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	*სოფლად მარტო მცხოვრები და მარტოხელა ხანდაზმული ადამიანების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა*	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
			14 000	
პროგრამის განმხორციელებელი უწყება(სამსახური)	ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სამსახური			
წინაპირობა	პანდემიის დაწყების დღიდან მოყოლებული ყველაზე მეტი მოწყვლადობით მარტოხელა ხანდაზმულები გამოირჩევიან, რომელთა საკვები პროდუქტებით დახმარებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფდა დაწესებული შეზღუდვების ფონზე. გარდა ამისა, ბაღდათის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს უფასო სასადილო, რომელიც სადილით უზრუნველყოფს 60- მდე ბენეფიციარს, თუმცა სოციალური მომსახურების სააგენტოს 2021 წლის მარტის მონაცემებით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 296[4], 65 წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულია, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 ათასს. აღნიშნული ხანდაზმულების გარკვეული ნაწილი მარტოდ მცხოვრები, მარტოხელა ან სხვა მოწყვლადობის მქონეა, რომელსაც ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვს საკვებ პროდუქტებთან და მისი შემოსავალი პენსია და სოციალურად დაუცველობის შემწეობაა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლებში სასურსათო მაღაზიების არ არსებობა ხანდაზმულებისთვის დამატებითი დაბრკოლებაა. საჭირო პროდუქტების შესაძენად პენსიის აღების შემდეგ ქალაქში უწევთ გადაადგილება, რაც დამატებით ხარჯთანაა დაკავშირებული და ამავდროულად ამ ასაკის ადამიანების ჯანმრთელობისთვის პანდემიის ფონზე შესაძლოა დამატებითი საფრთხის შემცველი იყოს.			
პროგრამის ბენეფიციარები	სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული მარტო მცხოვრები და მარტოხელა ხანდაზმულები , 65 წლიდან 95 წლამდე, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000 -ს.			

[4] http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1539 სოციალური მომსახურეობის სააგენტო

<table>
<tr><td>პროგრამის აღწერა (მიზანი)</td><td colspan="4">პროგრამის მიზანია ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი, მარტოხელა ხანდაზმული ადამიანების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა კვარტალში ერთხელ.
თითოეულ ბენეფიციარზე მოხდება 70 ლარის ფარგლებში სასურსათო პაკეტის მიწოდება, რომლის შემადგენლობაშიც იქნება: ზეთი, გრეჩიხა, კარაქი, შაქარი, ტკბილეული, შედედებული რძე, მაკარონი, პური , მზა ხორცპროდუქტი.
პროგრამის ბენეფიციარების რეგისტრაციას განახორციელებს მერიის სოციალური დაცვის სამსახური.

ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან.</td></tr>
<tr><td>პროგრამის შედეგი</td><td colspan="4">უზრუნველყოფილია ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში მარტოდ მცხოვრები 65 დან 95 წლამდე სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების საკვებ პროდუქტებთან ხელმისაწვდომობა.</td></tr>
<tr><td rowspan="2">შესრულების ინდიკატორი</td><td>საწყისი მაჩვენებელი</td><td>2022 წლის მაჩვენებელი</td><td>2023 წლის მაჩვენებელი</td><td>2023 წლის მაჩვენებელი</td></tr>
<tr><td>0</td><td>არანაკლებ 50</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>პროგრამის შესრულების მონიტორინგის განმხორციელებელი</td><td colspan="4">ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური</td></tr>
<tr><td>რისკები</td><td colspan="4">ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა და ნაკლები რესურსები</td></tr>
</table>

6.სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	- მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება.	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ?	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	5. ინფასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები?	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურეობა? 9. რას დაასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას? 14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?	
განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა	15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისწვდომი? თუ არის საგანამანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული? 116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვომია? 17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?	განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები:კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო;სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.
ძირითადი სერვისები და პროგრამები	18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში? 19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?	ყურადღების გამახველება პრგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.
Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები	20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად? 21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში? 22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?	ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.
რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის	23.რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? 24.რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.